

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბრძანება №435

ქ. ბათუმი, 08 ივნისი 2020 წ

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 05 მარტის №214 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 05 მარტის №214 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თანხმობა, გარდა პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციისა, უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ გადათხრილი ტერიტორიის ან სხვა აღდგენითი სამუშაოების ჯეროვნად შესრულება უნდა დადასტურდეს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვის-ცენტრის მენეჯერისა და ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს წარმომადგენლის მიერ. ამისათვის თანხმობის მფლობელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართოს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-სა და ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს, ხოლო ასეთი დადასტურების განუხორციელებლობა ჩაითვლება გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვებად და გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.“.

ბ) ბრძანებას მე-9 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9<sup>1</sup> და 9<sup>2</sup> პუნქტები:

„9<sup>1</sup>. თანხმობის მფლობელი ვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოები (კავშირგაბმულობის ხაზების (ქსელების), ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟი) აწარმოოს თანხმობით, ასევე მოქმედი რეგლამენტებით და წესებით დადგენილი პირობების სრული დაცვით. სამუშაოების წარმოებისათვის დადგენილი პირობების დარღვევის ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხმობა ითვლება ძალადაკარგულად, ხოლო განხორციელებული გადათხრითი სამუშაოები ჩაითვლება როგორც შესაბამისი თანხმობის გარეშე განხორციელებული გადათხრითი სამუშაოები და გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.“.

9<sup>2</sup>. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს თანხმობაში, კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა აუცილებელ მონაცემებთან ერთად, ასახოს წინამდებარე ბრძანებაში მითითებული საჭირო საკითხები.“.

გ) ბრძანების მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. დაევალოს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის-ცენტრის მენეჯერებს და ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპა-

ლურ ინსპექცია“-ს უზრუნველყონ შესაბამისი თანხმობის საფუძველზე გადათხრილი ტერიტორიის ან სხვა ადდგენითი სამუშაოების ჯეროვნად შესრულების დადასტურება.“.

**2.** ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტ-გვერდზე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი